ზიანის შემცირების ქსელი

სტრატეგიული გეგმა

2017-2020

1. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის მისიის განაცხადი

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი 2006 წლის სექტემბერში დაფუძნდა. ქსელი წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა. მასში გაერთიანებულია ორგანიზაციები, რომელთა უშუალო საქმიანობის სფერო ნარკოტიკულ საშუალებების ავად მოხმარებასთან დაკავშირებულ და მომიჯნავე საკითხებს ეხება. ქსელის თითოეული ორგანიზაცია დამოუკიდებელია და მათი საქმიანობის ნაწილია ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება.

ზიანის შემცირების საქათველოს ქსელის ხედვაა - ქვეყანა, სადაც ნარკოტიკების მომხმარება განიხილება, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და არა დამნაშავეობასთან ბრძოლოს საკითხი; ხოლო ნარკომომხმარებლებს ხელი მიუწვდებათ ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის ზიანის შემცირების სერვისებზე; აქვთ შესაძლებლობა იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები და სრულად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი.

ქსელის წევრებს სწამთ, რომ ზიანის შემცირება არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც ემსახურება ინფექციების (აივი, ბ და ც ჰეპატიტები, ტუბერკულოზი, სგგი) გავრცელების პრევენციას და ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილობის შემცირებას.

ქსელის მისიაა გააერთიანოს და გააძლიეროს ზიანის შემცირების სფეროში მოქმედი ორგანიზაციები და თანამოაზრეები; შექმნას ერთიანი ეროვნული პლატფორმა ზიანის შემცირების პოლიტიკის და პროგრამების ეფექტური განხორციელებისა და ადვოკატირებისათვის.

ქსელი აღიარებს და პატივს სცემს ჰუმანიზმის, ტოლერანტობის, პარტნიორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს. ქსელს სწამს, რომ ყოველ ადამიანს აქვს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უფლება და გააჩნია პოტენციალი სარგებელი მოუტანოს საკუთარ თავს და საზოგადოებას.

ქსელის მუშაობა ეფუძნება სამ ძირითად მიმართულებას:

1. **პოლიტიკის ადვოკატირება** - მტკიცებულებებზე დამყარებული ნარკოპოლიტიკის გატარება

ამ მიზნით ქსელი ახორციელებს კვლევებს, ცნობიერების ამაღლებას, აწარმოებს ადვოკაციის კამპანიებს და დიალოგს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და პოლიტიკის შემქმნელებთან; თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან.

2. **სერვისების მიწოდების ორგანიზება და განვითარება** - ზიანის შემცირების სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა

ზიანის შემცირების სერვისებს უპირატესად ქსელის წევრი ორგანიზაციები ახორციელებენ. ასეთი პროგრამების ფარგლებში ქსელი ხელს უწყობს ზიანის შემცირების სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას, მათ უწყვეტობას და მიწოდების გეოგრაფიის გაფართოებას. ასევე სერვისების მიწოდებაზე დაფინანსების მოზიდვის სირთულის გათვალისწინებით, ქსელის წევრები ერთიანი ძალებით ცდილობენ ამ მიმართულებით ფონდების მოპოვებას.

3. **წევრების შესაძლებლობების გაძლიერება** - ძლიერი ორგანიზაციები ქმნიან ძლიერ ქსელს

ქსელი ხელს უწყობს წევრი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას. ამ მიმართულებით ქსელი ახორციელებს წევრი ორგანიზაციების საჭიროებათა გამოვლენას, შესაბამისი პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ორგანიზაციული მართვის საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებას, სწავლებისა და საკონსულტაციო მომსახურების ორგანიზებას. იმავდროულად ქსელი კოორდინირებას უწევს წევრ ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლას და ეხმარება მათ პარტნიორული თუ კოალიციური საპროექტო იდეების გამოვლენაში.

ქსელის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ძირითად სამუშაო პრინციპებს:

- წევრ ორგანიზაციებს შორის ურთიერთპატივისცემა;
- ქსელის საქმიანობაში წევრთა პარიტეტული ჩართულობა;
- წევრ ორგანიზაციებს შორის კოორდინირებული მუშაობა;
- გადაწყვეტილების მიღება დისკუსიითა და კონსენსუსით;

- საქმიანობების, შედეგების და ბიუჯეტის გამჭირვალობა;
- ქსელის ანგარიშვალდებულება წევრი ორგანიზაციების მიმართ;
- საუკეთესო გამოცდილების გაზიარება;
- მზაობა სტრატეგიული პარტნიორობისადმი;

რეალობა რომელიც გვსურს

- ნემისმიერი ინტერვენცია მიმართულია ნარკოტიკების მომხმარებლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე- ნიმ-ებს აქვთ საშუალება, მიიღონ მათთვის საჭირო ნებისმიერი მომსახურება, რაც ხელს შეუწყობს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და კეთილდღეობას;
- ნიმ-ებისთვის საჭირო ყველა სერვისი არის ხელმისაწვდომი, მოთხოვნადი და უწყვეტი;
- გარანტირებულია ანონიმურობა/ კონფიდენციალურობა; გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა, მინიმალურ ბიუროკრატიულ ბარიერები;
- სერვის აწვდის კვალიფიკაციური / გამოცდილი პერსონალი
- არსებობს საჭირო მატერიალიურ - ტექნიკური ბაზა
- ძლიერი სამოქალაქო სექტორი უზრუნველყოფს ნიმ-ებისთვის საჭირო, მოთხოვნადი სერვისების ხელმისაწვდომობას და უწყვეტობას;
- ზიანის შემცირება სამოქალაქო საზოგადოების პრიორიტეტია;
- სერვისის მიმწოდებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ რეპუტაცია და კვალიფიკაცია, რომელიც აკმაყოფილებს ქვეყანაში არსებულ საკვალიფიკაციო სტანდარტებს;
- სახელმწიფოში აღიარებულია არასამთავრობო სექტორის უნიკალური როლი მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობაში (და არის მოთხოვნადი)

ინსტიტუციონალური საჭიროებები

ზ შ სერვისის მიმწოდებელ არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს:

1. რეპუტაცია, გამოცდილება
2. კვალიფიციური პერსონალი
3. აქტიური პარტნიორული საქმიანობა
4. ცნობადობა ქვეყნის შიგნით და გარეთ
5. თემის წევრების ჩართულობა მოხალისეობრივ საწყისებზე
6. ორგანიზაციული საქმიანობის რეპრეზენტაბელურობა
7. გამართული მმართველობის სისტემა
8. საადვოკაციო უნარჩვევები
9. სახელმწიფოს მიერ აღიარებული (დამტკიცებული) ზიანის შემცირების სტანდარტები
10. ფინანსური/ორგანიზაციული მდგრადობა
11. ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგია
12. გენდერული პლიტიკის დოკუმენტი/პრაქტიკა
13. ქცევის კოდექსი
14. მონიტორინგის მექანიზმი ეთიკის კომისიის სახით

სტრატეგიული გეგმის განახლების პროცესი:

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
სტრატეგიული გეგმა 2017-2020

ქსელის 2014-2016 წლის სტრატეგიის გეგმის გადახედვა მოხდა - "აივისა და ჰეპატიტი ც-ს პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების უნარების გაძლიერება საქართველოში" ფარგლებში, რომლის მხარდაჭერა მოხდა ფნდი ღია საზოგადოების მიერ. პროექტი მიზნად ისახავს გააძლიეროს ზიანის შემცირების ეროვნული ქსელის 26 ორგანიზაცია, აივ ინფექცია შიდსისა და ჰეპატიტის პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების ეროვნული პასუხის აქტიური თანამონაწილეობისათვის, გაძლიერების პრინციპებისა და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების გათვალისწინებით, პოლიტიკის დიალოგში აქტიური ჩართულობისა და ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ანგარიშვალდებულებების მექანიზმების პრაქტიკაში ამუშავების ხელშეწყობისათვის. სამოქალაქო სექტორის მიზნობრივი გაძლიერება ფუნდამენტალურია იმისთვის რომ, აივ დადებით ადამიანებს, ნარკო მომხმარებლებს, ჰეპატიტი ც-თი მცხოვრებ ადამიანებს მათ შორის ქალებსა და გოგონებს, გაუუმჯობესდეს ხელმისაწვდომობა მდგრად და ხარისხიან სამედიცინო და სოციალურ სერვისებზე. მთავარი ამოცანაა მიზნის მიღწევა აღნიშნული ჯგუფების უშუალო ჩართულობით და მათი ფუნდამენტალური უფლებების გათვალისწინებით განხორციელდეს. პროექტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფმა იმუშავა შემდეგი მიმართულებებით

- საადვოკაციო სტრატეგიული მიზნების გადახედვა/განახლება-სტრატეგია, რომელიც ჰოლისტურად მოიცავს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გაძილერების და განვითარების პერსპექტივებს ეფექტური საადვოკაციო შედეგებისათვის და ზიანის შემცირების სერვისებისა და ნარკოპოლიტიკის მიღმა ფარავს ისეთ მომიჯნავე სფეროებს, როგორიცაა ჰეპატიტი ც ელიმინაციის, ტუბერკულოზისა და აივის ზრუნვის სრულ ციკლს.
- საადვოკაციო სტრატეგიულ გეგმაში თითოეული საადვოკაციო მიზნის შესაბამისი საადვოკაციო ინტერვენციების გაწერა;
- საადვოკაციო სტრატეგიულ გეგმაში საადვოკაციო ინტერვენციების, გაზომვადი შუალედული და გრძელვადიანი მოსალოდნელი შედეგების და პოტენციური რისკების ასახვა;
- საადვოკაციო სტრატეგიულ გეგმაში საადვოკაციო ინტერვენციების განმახორციელებლების (პასუხისმგებელი პირები/ორგანიზაციები) და განხორციელების პოტენციური რისკების ასახვა;
- საადვოკაციო მიზნების შესაბამისად ადვოკატირების სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;
- გავლენის რუკის შემუშავება დაინტერესებული მხარეების ეფექტური ჩართუობისა და ოპოზიციასთან მუშაობის სტრატეგიის განსასაზღვრად;

სტრატეგიის განახლების მიზეზი-გარე ფაქტორები

სიტუაციის ანალიზი

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოში აივისა და ტუბერკულოზის პროგრამების დაფინანსების ერთადერთ ძირითად წყაროს "გლობალური ფონდი" წარმოადგენს. ოპიოიდური ნაკრომანიის დროს ჩანაცვლებით მკურნალობას (OST) თუ არ ჩავთვლით, მაღალი რისკის ჯგუფებისათვის (KAP), მათ შორის ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისათვის (PWID) განკუთვნილი აივის პრევენციის პროგრამები სრულად ფინანსდება "გლობალური ფონდის" მიერ. ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის (EECA) რეგიონის სხვა ქვეყნებში, "გლობალური ფონდი" საქართველოშიც ეტაპობრივად შეწყვეტს აივისა და ტუბერკულოზის პროგრამების დაფინანსებას. სამოქალაქო საზოგადოებას (და არა მხოლოდ) აქვს მოლოდინი იმის თაობაზე, რომ გარდამავალი პერიოდის დასასრულს, "გლობალური ფონდის" მიერ მხარდაჭერილი ყველა პროგრამა დაფინანსებას მიიღებს ადგილობრივი წყაროებიდან. ბოლო ერთი წელია "გლობალური ფონდი" და ეროვნული აქტორები მონაწილეობენ მოსამზადებელ პროცესში, რომლის მიზანია გარდამავალი პერიოდის შეუფერხებლად და ეფექტურად განხორციელება, რათა აღნიშნულმა პროცესებმა პროგრამების მდგრადობაზე უარყოფითი გავლენა არ იქონიოს. გარდამავალი პერიოდი გათვალისწინებულია როგორც "ეროვნული აივ სტრატეგიის გეგმაში" (NSP 2016-2018), ისე "გლობალური ფონდისათვის" წარდგენილ კონცეფციის დოკუმენტში, რომელიც შემუშავებული იქნა დაფინანსების ახალი მოდელის (NFM) ფარგლებში. ორივე დოკუმენტი ითვალისწინებს "გლობალური ფონდის" მიერ ტუბერკულოზისა და აივის პრევენციის, მკურნალობისა და ზრუნვის მიმართულებებით განხორციელებული დანახარჯების თანდათანობით შემცირებასა და აღნიშნული პროგრამების დასაფინანსებლად ადგილობრივ დონეზე გაწეული ხარჯების შესაბამის ზრდას. ამასთან, "ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო" (CCM) ხელს შეუწყობს გარდამავალი პერიოდის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. გეგმა მოიცავს კონკრეტულ დროში გაწერილ აქტივობებსა და შესაბამის ინდიკატორებს მთავრობისა და ეროვნული აქტორებისათვის.

სიტუაციური ანალიზიდან გამომდინარე ძირითადი რეკომენდაციები/ადვოკაციის მიმართულებები

1) დონორთა დაფინანსებიდან სახელმწიფო დაფინანსებაზე თანდათანობითი გადასვლის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ზიანის შემცირების სერვისების მდგრადობას

გარდამავალი პერიოდის ეროვნულ გეგმაში ზიანის შემცირების სერვისებისთვის სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა/თანდათანობით გაზრდა, რაც უზრუნველყოფს ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა თემის საჭიროებებზე დაფუძნებული ზიანის შემცირების სერვისების მდგრად მიწოდებას, გლობალური ფონდისა და სხვა ორმხრივი დონორების დაფინანსების შემცირების/შეწყვეტის შემდეგ.

2) ზიანის შემცირების თემზე დაფუძნებული სერვისების განხორციელების მიზნით საჯარო რესურსებიდან არა-სამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების მექანიზმების შექმნა/მოძიება;

ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა თემზე დაფუძნებული სერვისების განხორციელება სოციალური კონტრაქტების სქემების პილოტირებითა და/ან დაფინანსების სხვა ეფექტური მექანიზმების საშუალებით 2017 წლიდან, გარკვეულ საპილოტე ადგილებში.

3) "შპრიცებისა და ნემსების პროგრამის" (NSP) მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების გაუმჯობესება;

"შპრიცებისა და ნემსების პროგრამის" სერვისებზე ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოფხვრა ხელსაყრელი საკანონმდებლო გარემოსა და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნით

4) გარდამავალ პერიოდში NSP სერვისების სახელმწიფოს მიერ დაფინანსების გაზრდა და ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა თემის საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

გარდამავალი პერიოდის გეგმაში NSP პროგრამისთვის 2019 წლიდან საკმარისი სახელმწიფო დაფინანსების გათვალისწინების უზრუნველყოფა და ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა თემის საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისების მიწოდება, ცვალებადი ნარკო-სიტუაციის შესაბამისად; აგრეთვე, თემზე დაფუძნებული პროგრამების მასშტაბების გაფართოება, როგორც ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდის, ისე სერვისების გამრავალფეროვნების გზით.

5) ოპიოიდური ნარკომანიის დროს ჩანაცვლებით მკურნალობის (OST) პროგრამის დაფარვის არეალის გაფართოვება

პროგრამის მონაწილეთა სპექტრის საკმარისად გამრავალფეროვნება (2018 წლამდე მონაწილეთა რაოდენობის გზარდა 12%-ით - 5400 ადამიანამდე) მომსახურეობის უფასოდ მიღების კონკრეტული კრიტერიუმების შეცვლით (გადახდის უნარი, მინიმალური ხელფასი, პლიუს მეტადონის პროგრამის ყოველთვიური გადასახადი). OST პროგრამის ბენეფიციართა კატეგორიზაციის ახალი სისტემების დანერგვა 2017 წლამდე. სტაბილურ კლიენტებს ექნებათ დოზის შინ წაღების უფლება, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები კლიენტებისათვის ანაზღაურდება ტრანსპორტირების ხარჯები.

6) ზიანის შემცირების სერვისებში გენდერულად მოგრძნობიარე მიდგომების დანერგვა

სპეციალურად ქალებისათვის განკუთვნილი ზიანის შემცირების პროგრამები (შესაბამისად მომზადებული თანამშრომლებით, ქალებისათვის განკუთვნილი სამედიცინო სერვისებით, ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო სერვისებით), რაც ხელს შეუწყობს ქალი ბენეფიციარების რაოდენობის გაზრდას და გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურასა და პროცედურებს, ქალი ბენეფიციარების სპეციფიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

2. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის სტრატეგიული მიმართულებები

მიმართულება 1:ზიანის შემცირების საკითხების ადვოკატირება	**მიმართულება 2: ზიანის შემცირების სერვისების მიწოდება**	**მიმართულება 3: ქსელისა და მისი წევრების შესაძლებლობების გაძლიერება**
ქვე-მიმართულებები: 1.1 მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარება; 1.2 C ჰეპატიტის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; 1.3 მედიკამენტებით მხარდაჭერილი მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; 1.4 ქალ მომხმარებელთათვის სერვისების ხელმისაწვდომობის და უფლებების ადვოკატირება;	ქვე-მიმართულებები: 2.1 ზიანის შემცირების სერვისების განვითარება-გაფართოება; აივ/შიდსის, ვირუსული ჰეპატიტების და სხვა სისხლით და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია; 2.2 ნარკოტიკებს მოხმარებით გამოწვეული ზედოზირების და მისი შედეგების პრევენცია; 2.3 ქალ მომხმარებელთათვის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;	ქვე-მიმართულებები: 3.1 ქსელის წევრი ორგანიზაციების ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება; 3.2 ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის მობილიზება და გაძლიერება;

მიმართულება 1: ზიანის შემცირების საკითხების ადვოკატირება

ქვე- მიმართულება 1.1: მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარება;

ხედვა	წამალდამოკიდებულება განიხილებოდეს, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და არა როგორც კრიმინალთან ბრძოლის საკითხი. ზიანის შემცირება გახდეს ნარკოპოლიტიკის განუყოფელი ნაწილი.
სამიზნე ჯგუფები	მთავრობა პარლამენტი საზოგადოება საზოგადოებრივი (განსაკუთრებით უფლებადაცვითი) ორგანიზაციები
ძირითადი დაინტერესებული პირები	• ნარკოტიკების მომხმარებელთა თემი და მათი ოჯახის წევრები • ქსელის წევრი ორგანიზაციები • უწყებათშორისი საბჭო • ჯანდაცვის სამინისტრო • შსს • იუსტიციის სამინისტრო • მთავარი პროკურატურა • სასჯელაღსრულების სამინისტრო • განათლების სამინისტრო • ფინანსთა სამინისტრო
მიზანი (ები)	ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია და ზიანის შემცირების პროგრამებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა
ამოცანები	1. პოლიტიკური წრეებში ნარკოკანონმდებლობის ცვლილებათა კანონპროექტის მხარდამჭერთა გაზრდა და მობილიზება; 2. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ნარკოკანონმდებლობის ცვლილებათა კანონპროექტის მხარდამჭერთა გაზრდა და მობილიზება; 3. საზოგადოების ინფორმირების გაზრდა ნარკოპოლიტიკის რეფორმის შესახებ;
ინდიკატორები	• მხარდამჭერ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაოდენობა • მხარდამჭერი პოლიტიკური განცხადებების რაოდენობა • მედია დაფარვა
განხორციელების გზები	• პოლიტიკურ პარტიებთან და ცალკეულ პოლიტიკურ პირებთან შეხვედრები და თემატური დისკუსიების წარმოება;

	• სტადი ტურების ორგანიზება; • ევროპულ ინსტიტუტებთან პარტნიორობით ნარკოპოლიტიკის რეფორმის პროცესის დაჩქარება და ერთობლივი კონფერენციის ორგანიზება; • საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინფორმირება და სენსიტიზაცია; თემატური თანამშრომლობა საერთო ღირებულებებისა და პრინციპების ირგვლივ, მემორანდუმების გაფორმება; • მუდმივ მოქმედი საინფორმაციო საქმიანობა და სოციალური მედიის ეფექტური მობილიზება;
დამატებითი ინფორმაცია	

ქვე- მიმართულება:1.2 C ჰეპატიტის მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ხედვა	საქართველოში მცირდება C ჰეპატიტის გავრცელება, დიაგნოსტირება და მკურნალობა ხელმისაწვდომია მოქალაქეებისათვის
სამიზნე ჯგუფები	• ბენეფიციარები: C ჰეპატიტით ინფიცირებული პირები და მათი ოჯახის წევრები • ჯანდაცვის სამინისტრო • პაციენტთა თემი/ჯგუფები • ლაბორატორიები და კლინიკები • ფარმაკომპანიები • სადაზღვევო კომპანიები
ძირითადი დაინტერესებული პირები/პარტნიორები	• ჯანდაცვის სამინისტრო • პაციენტთა თემი/ჯგუფები • ლაბორატორიები და კლინიკები • ფარმაკომპანიები • სადაზღვევო კომპანიები
მიზანი (ები)	C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა
ამოცანები	• სადაზღვევო პროგრამები ითვალისწინებენ C ჰეპატიტის დიაგნოსტიკას; • ფარმაცევტული კომპანიები აიაფებენ მკურნალობას 2000 აშშ დოლარამდე (48 კვირიანი კურსი); • ლაბორატორიები აიაფებენ დიაგნოსტიკის ფასს, როგორც ტესტის თემების ფართო არჩევანის

	შეთავაზებით, ისე საკუთარი მომსახურების გაიაფების ხარჯზე.
ინდიკატორები	• დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ფასის მაჩვენებელი; • მკურნალობის მზაობის ღონისძიებებში ჩართული პაციენტების რაოდენობა; • მკურნალობის პროგრამებში ჩართული პაციენტების რაოდენობა; • ახალ სამკურნალო საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაჩენა;
განხორციელების გზები	დასახული ამოცანების შესასრულებლად მოხდა საადვოკაციო კამპანიის გეგმის შედგენა 1 და 3 წლის პერიოდისათვის შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით: - მეთოდი/ტაქტიკა - სამიზნე ჯგუფები - შესრულებაზე პასუხისმგებელი/ლიდერი - აქტივობები (პირველი წლის მიხედვით დროში გაწერილი) - საჭირო რესურსები ამ პარამეტრების მიხედვით შედგენილი გეგმა მოცემულია ცხრილების სახით
დამატებითი ინფორმაცია	

ქვე- მიმართულება 1.3: მედიკამენტებით მხარდაჭერილი მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ხედვა	ყველა ბენეფიციარს საჭიროების მიხედვით ხელი მიუწვდებოდეს მედიკამენტებით მხარდაჭერილი მკურნალობის პროგრამებზე და გაიზარდოს პროგრამის უტილიზაცია.
სამიზნე ჯგუფები	• ჯანდაცვის სამინისტრო • პროგრამის განმახორციელებელი • მიმწოდებლები - სამედიცინო პერსონალი • მუნიციპალიტეტები
ძირითადი დაინტერესებული პირები	• პროგრამის მონაწილეები და მათი ოჯახის წევრები • სათემო ორგანიზაციები • GeNPUD • ჯანდაცვისა და შს სამინისტროები პროგრამის განმახორციელებელი სსიპ-ები • მიმწოდებელი სსიპ-ები, შპს-ები და ააიპ-ები

მიზანი (ები)	მედიკამენტებით მხარდაჭერილი მკურნალობის პროგრამებში პაციენტების ჩართვის ბარიერების შემცირება და სერვისის შიდა რეგულაციების გაუმჯობესება პაციენტის საჭიროებებზე მორგების მიზნით
ამოცანები	1. მედიკამენტებით მხარდაჭერილი მკურნალობის რეგულირების ბაზისა და დაფინანსების ალტერანტიული კონცეფციის შემუშავება; 2. პაციენტთა მობილიზაცია ადვოკატირების პროცესში მათი გააქტიურების მიზნით; 3. პროფესიული თემის მხარდაჭერის გაძლიერება და პაციენტზე ორიენტირებული მკურნალობის სტანდარტების დანერგვაში მათი დახმარება; 4. გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან პოლიტიკის დიალოგის გააქტიურება;
ინდიკატორები	• ადვოკატირების პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა; • რეგულაციების ცვლილებების მოცულობა; • პაციენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი;
განხორციელების გზები	• სათემო ორგანიზაციების მობილიზება; ნიმ-თა ქსელის შექმნა და ინფორმირებულობის გაზრდა (სოც.მედია,); • ექსპერტთა ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს ალტერნატიულ კონცეფციას; ამ საქმიანობის ფარგლებში არსებული პროგრამების ხარჯების შეფასება; ამ პროგრამების ხარჯ ეფექტურობის დემონსტრაცია მკურნალობის სხვა მეთოდებთან შედარებით; • გაიდლაინების პროექტის მომზადება; • ჩართული სამედიცინო პერსონალისათვის სემინარების ორგანიზება და კონცეფციის, გაიდლაინების მომზადებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა; • სამუშაო შეხვედრები და პრეზენტაციები ჯანდაცვის სამინისტროს და მსხვილი სამიზნე მუნიციპალიტეტების სამსახურების მონაწილეობით; • მუნიციპალიტეტების საკრებულოებში მხარდამჭერთა იდენტიფიცირება და მათი ინფორმირება
დამატებითი ინფორმაცია	

ქვე- მიმართულება 1.4 : ქალ მომხმარებელთათვის სერვისების ხელმისაწვდომობის და უფლებების ადვოკატირება;

ხედვა	ქალი მომხმარებლები იღებენ სრულფასოვან მომსახურებას, რომელიც ეხმარება მათ მრავალმხრივი სტიგმის დაძლევაში, საკუთარი პოტენციალის გამოვლენასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.
სამიზნე ჯგუფები	*ბენეფიციარები:* ნარკოტიკული ნივთიერებების ქალი მომხმარებლები (მათ შორის სექსმუშაკები და ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალები) *ინტერვენციის სამიზნე:* • ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის არაწევრი, ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები • მომხმარებელი ქალებისთვის სხვა სამედიცინო და სოციალური სერვისების მიმწოდებლები • ჯანდაცვის და სოციალური პოლიტიკის შემქმნელები • მას-მედია
ძირითადი დაინტერესებული პირები	*პარტნიორები:* • ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი • ქალთა უფლებათა დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციები (მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ქვეყნის ალტერნატიულ ანგარიშზე მომუშავე ორგანიზაციები) • სახალხო დამცველის აპარატი *დონორები:* • ევროკავშირი • შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი • ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
მიზანი (ები)	1. ქალ მომხმარებელთათვის საჭირო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 2. საზოგადოებაში ქალი მომხმარებლების მიმართ დისკრიმინაციის გამომწვევი განწყობების და ქალების მიმართ ძალადობის შემცირება
ამოცანები	1. სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებში გაუმჯობესებულია ქალი მომხმარებლების მიღებისთვის ხელშემწყობი გარემო 2. პოლიტიკის შემქმნელები მხარს უჭერენ ნარკოდამოკიდებული ქალებისთვის სოციალური და სამედიცინო პოლიტიკის/პროგრამების დანერგვა/ადაპტირებას 3. მედია საშუალებები ადექვატურად აშუქებენ ქალ მომხმარებელთა პრობლემებს
ინდიკატორები	• ქალებისთვის ადაპტირებული სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების რაოდენობა;

	• მედიაში ქალი მომხმარებლების პრობლემების შესახებ სტატიების, გადაცემების და ა.შ. რაოდენობა; • პოლიტიკის და გადაწყვეტილების მიმღები პირების მხარდამჭერი განცხადებებისა და გადაწყვეტილებების რაოდენობა ;
განხორციელების გზები	• ნარკომომხმარებელ ქალთა საჭიროებების და პრობლემების შეფასება/კვლევა; • კვლევის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება და გავრცელება სხვადასხვა დაინტერესებულ პირთა შორის; • სტრატეგიის დანერგვის სახელმწიფოსთან ადვოკატირება; • სერვის პროვაიდერი ორგანიზაციებისათვის ქალებზე მორგებული სერვისებისა და გარემოს გაიდლაინების და გადამზადების კურსების მომზადება; • გაიდლაინების შესახებ სერვის მიმწოდებლების ინფორმირება და გადამზადება სერვისების ადაპტირების შესახებ; • სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებში ქალ მომხმარებლებზე ორიენტირებული სერვისების დაფინანსების ადვოკატირება; • სახალხო დამცველისთვის ნარკოტიკების ქალი მომხმარებლების ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევების მიწოდება; • ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ქვეყნის ალტერნატიულ ანგარიშში ნარკოტიკების ქალი მომხმარებლების პრობლემების ასახვა; • მას-მედიის აქტიურად ჩართვის ხელშეწყობა პრობლემების და რეკომენდაციების პუბლიცირებისთვის და აქტუალიზაციისთვის;
დამატებითი ინფორმაცია	

მიმართულება 2: ზიანის შემცირების სერვისების მიწოდება

ქვე- მიმართულება 2.1: ზიანის შემცირების სერვისების განვითარება-გაფართოება; აივ/შიდსის, ვირუსული ჰეპატიტების და

სხვა სისხლით და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია;

ხედვა	ზიანის შემცირების სერვისები უნდა ითვალისწინებდეს და ეფუძნებოდეს: • საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას, • მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს, • გენდერულ საჭიროებებსა და გენდერზე ორიენტირებულ მიდგომას, • ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემას, და აუცილებლად უნდა იყოს ხელმისაწვდომი (გეოგრაფიულად და დროში) მიზნობრივი პოპულაციისთვის.
სამიზნე ჯგუფები	ქსელის წევრი ზიანის შემცირების სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები; ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები 18 წლიდან და ზევით (კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების, ოპიოიდების, სტიმულატორების და ა.შ.), კომერციული სექს-მუშაკები 18 წლიდან და ზევით, რომლებიც არიან ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელთა პარტნიორები ან ამავე დროს არიან ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებლები, მამაკაცები 18 წლიდან და ზევით, რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი მამაკაცებთან და მოიხმარენ ნარკოტიკულ საშუალებებს.
ძირითადი დაინტერესებული პირები	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე სერვის პროვაიდერები და სპეციალისტები, სამოქალაქო სექტორი, მკვლევრები და საგანმანათლებლო უნივერსიტეტები, გადაწყვეტილების მიმღებები და პოლიტიკის განმსაზღვრელები.
მიზანი (ები)	ქსელის წევრი ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ზიანის შემცირების სერვისების უწყვეტობის უზრუნველყოფა, ხარისხის გაუმჯობესება და გეოგრაფიული დაფარვის გაზრდა;
ამოცანები	1. ქსელის ზიანის შემცირების სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნა და დანერგვა; 2. ზიანის შემცირების ახალი, საქართველოსათვის ინოვაციური სერვისების დანერგვა; 3. მობილური სერვისების დანერგვა; 4. დაუფარავ მაღალი საჭიროების რეგიონებში/უბნებზე სტაციონარული სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა; 5. დაფინანსების მექანიზმების შესაძლებლობების სტიმულირება მუნიციპალიტეტებში და სახელმწიფო სამედიცინო და სოციალურ პროგრამებში; 6. სადაზღვევო ინსტიტუტებთან წამალ დამოკიდებულების მკურნალობის დაფინანსების

	საკითხის ადვოკატირება;
ინდიკატორები	• სერვის პროვაიდერების მიერ ხარისხის სტანდარტების შესრულების მაჩვენებელი; • ბენეფიციართა რაოდენობა; • ზიანის შემცირების ახალი სერვისების რაოდენობა და მათი ბენეფიციართა რაოდენობა • სერვისის მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი; • დაფარული ახალი გეოგრაფიული რაიონების რაოდენობა; • სერვისების დაფინანსების ახალი წყაროების წილი
განხორციელების გზები	• სერვისების განვითარებაზე დონორების რესურსების მოზიდვა • ხარისხის მართვის სისტემის განვითარების პროექტის შემუშავება და განხორცილება. სისტემის გამართვისათვის მონაცემთა ბაზის შემუშავება და დანერგვა; ქსელის წევრების გადამზადება ხარისხის მართვის სისტემის დანერგვისათვის; • სერვისების მიწოდების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე კვლევის გაკეთება; • ზიანის შემცირების სერვისების მიწოდებაზე დასავლური გამოცდილების შესწავლა, მათ შორის სადაზღვევო კომპანიების მიერ დაფინასების მოდელების ანალიზი • ზიანის შემცირების სერვისების დაფინანსებაზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა, სადაც აღწერილი იქნება სერვისები და ასევე გაკეთდება მათი განფასება ; • ადვოკატირების შეხვედრების, ღონისძიებების განხორციელება მთ შორის სადაზღვევო კომპანიებთან
დამატებითი ინფორმაცია	ქსელის მუშაობა უნდა იყოს გამჭვირვალე, თავისუფალი ინტერესთა კონფლიქტისგან და იყოს სამაგალითო მუდმივად განვითარებადი ორგანიზმი, რომელიც ორიენტირებულია სამიზნე პოპულაციის საჭიროებებზე და მათთვის მისაწოდებელი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, ადამიანის ღირსებისა და უფლების დაცვაზე.

ქვე- მიმართულება 2.2: ნარკოტიკებს მოხმარებით გამოწვეული ზედოზირების და მისი შედეგების პრევენცია;

ხედვა	საქართველოში მცირდება ნარკოტიკის მომხმარებელთა შორის ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილობის მაჩვენებელი, ნარკოტიკების მომხმარებლები ფლობენ ყველა საჭირო ცოდნას და ტექნიკას რათა თავიდან აიცილონ გართულებები
სამიზნე ჯგუფები	ნარკოტიკების მომხმარებლები მთავრობა/შსს/ჯანდაცვის სამინისტრო პარლამენტი 112
ძირითადი დაინტერესებული პირები/პარტნიორები	ნარკოტიკების მომხმარებელთა თემი და მათი ოჯახის წევრები ჯანდაცვის სამინისტრო სხვა უწყებები
მიზანი (ები)	ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილობის შემცირება
ამოცანები	1. ნიმ-თა ინფორმირებულობის ზრდა ზედოზირების პრევენციის და პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახე (სერვის პროვაიდერ ორგანიზაციებში ზედოზირების პრევენციის ინტეგრირება და საინფორმაციო კამპანიები); 2. ნალოქსონის ხელმისაწვდომობის გაზრდა; 3. საკანონმდებლო ბაზის ლიბერალიზაცია (კეთილი სამარიტელის კანონების შექმნა და ადვოკატირების კამპანიის წარმოება);
ინდიკატორები	• სერვის პროვაიდერთა რაოდენობა, რომლებიც ეწევიან ზედოზირების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირებას და დახმარებას; • დარიგებული ნალოქსონის რაოდენობა და მოცული ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა • სერვის პროვაიდერების რაოდენობა, რომელთაც აქვთ ნალოქსონი თავიანთ მარაგებში, • ლიბერალიზებული ნორმატიული ბაზა
განხორციელების გზები	• ზედოზირების და სიკვდილობის პრევენციის გაიდლაინების შემუშავება; • ზედოზირების პრევენციისთვის ტრენერთა მომზადება; • სერვის პროვაიდერთა საგანმანათლებლო ღონისძიებები (ტრენინგები, კონსულტაციები,

	საინფორმაციო მასალები, ვიდეო ა.შ.); • ზედოზირების და სიკვდილობის პრევენციის გაიდლაინების დანერგვის მონიტორინგი; • საგანანმანათლებლო ბროშურების დამზადება • თანასწორთა მიერ ნალოქსონის დისტრიბუცია • ადვოკაციის კამპანია, რომელიც მოიცავს: 239ნ ბრძანების ანულირების პროპაგანდა; მიმართვები სახელმწიფო ორგანოებისადმი; აქციების გამართვა; მედიის ჩართვა; კანონპროექტის მომზადება.
დამატებითი ინფორმაცია	

ქვე- მიმართულება 2.3: ქალ მომხმარებელთათვის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ხედვა	ქალი მომხმარებლები იღებენ ზიანის შემცირების და მასთან რელევანტურ მომსახურებას, რომელიც ეხმარება მათ საკუთარი პოტენციალის გამოვლენასა და ცხოვრების ხარისხის ზოგად გაუმჯობესებაში.
სამიზნე ჯგუფები	*ბენეფიციარები:* ნარკოტიკული ნივთიერებების ქალი მომხმარებლები *ინტერვენციის სამიზნე:* ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წევრი, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები.
ძირითადი დაინტერესებული პირები	*პარტნიორები:* • ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი • ზიანის შემცირების წევრი, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები • ქალთა ორგანოზაციები, რომლებიც მუშაობენ სამიზნე რეგიონებში *დონორები:* • ევროკავშირი • შიდსთან, ტუბერკულოსთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი • ფონდი ღია საზოგადოება საქართველო • რობერტ კარი/უკრაინის ჯანმრთელობის ალიანსი
მიზანი (ები)	ქსელის ფარგლებში სერვისების ხარისხის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ქალ მომხმარებელთათვის;
ამოცანები	ქსელის წევრ პროვაიდერების სერვისების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში გათვალისწინებულია მომხმარებელ ქალთა ინტერესები

ინდიკატორები	• ქალზე ორიენტირებული სერვისების მიმწოდებელი ქსელის წევრი ორგანიზაციების რაოდენობა • სამიზნე ორგანიზაციებში ქალზე ორიენტირებული სერვისების რაოდენობა • სერვისების მიმღები ქალების რაოდენობა სამიზნე ორგანიზაციებში • სერვისებით კმაყოფილ ქალთა რაოდენობა სამიზნე ორგანიზაციებში
განხორციელების გზები	• სერვის პროვაიდერი ორგანიზაციებისათვის ქალებზე მორგებული სერვისებისა და გარემოს გაიდლაინების და გადამზადების კურსების მომზადება; • გაიდლაინების შესახებ სერვის მიმწოდებლების ინფორმირება და გადამზადება სერვისების ადაპტირების შესახებ; • მონიტორინგის სისტემის გამართვა • გენდერული პოლიტიკის ინტეგრირება ორგანიზაციის პოლიტიკის დოკუმენტში და დონორებთან კომუნიკაცია • სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები ქმნიან გადამისამართებისთვის საჭირო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებს, რომლებიც შესაბამის გეოგრაფიულ რეგიონში მუშაობენ ქალთა საკითხებზე, მაგალითად: i. ძალადობა ქალთა მიმართ ii. ქალთა ჯანმრთელობის სერვისები iii. ბავშვზე ზრუნვის სერვისები და ა.შ. • კავშირების დამყარება და რეფერალური სისტემის აწყობა • სერვის პროვაიდერ ორგანიზაციების აქვთ ბავშვზე ზრუნვის შესაძლებლობა, მანამ სანამ დედას გაეწევა შესაბამისი მომსახურება • სერვისების დაგეგმვისას ხდება მომხმარებელი ქალების თანამონაწილეობა • სერვისების განხორციელების პროცესში ჩართულია ქალი მომხმარებლების მოზიდვისთვის საჭირო ინსენტივები (მაგ.: სასაჩუქრე პაკეტები, ქალებისთვის საჭირო მომსახურების დაფინანსება და ა.შ.) • რეგულარულად ხდება სერვისების ხარისხის შეფასება მომხმარებლების მიერ და ხდება ამ შეფასების ანალიზის შედეგების გამოყენება დაგეგმვის პროცესში.
დამატებითი ინფორმაცია	

მიმართულება 3: ქსელისა და მისი წევრების შესაძლებლობების გაძლიერება

ქვე-მიმართულება 3.1 : ქსელის წევრი ორგანიზაციების ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება;

ხედვა	ქსელის წევრი ორგანიზაციები უწყვეტად ახორციელებენ საკუთარ პროგრამებს, მოიძიებენ დაფინანსებას, აფართოებენ საქმიანობას და უწევენ მაღალი ხარისხის მომსახურებას ბენეფიციარებს და იმავდროულად იზრდება მათი გავლენა პოლიტიკის ფორმირების პროცესში
სამიზნე ჯგუფები	*ბენეფიციარები:* ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები*ინტერვენციის სამიზნე:* • ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წევრი ორგანიზაციები
ძირითადი დაინტერესებული პირები	*პარტნიორები:* • ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელი • ღია საზოგადოება ფონდები • საქართველოს ზრუნვის პლატფორმა • კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი • სხვა მსგავსი პროფილის ორგანიზაციები • *დონორები:* • ევროკავშირი • შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი • ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"
მიზანი (ები)	წევრ ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესება და მათი მდგრადობის გაძლიერება

ამოცანები	1. ქსელის მიერ ორგანიზაციული განვითარების სერვისების მიწოდების პოლიტიკისა და სისტემის სრულყოფა და დანერგვა; 2. ქსელის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და მიწოდების სისტემის სრულყოფა;
ინდიკატორები	1. წევრი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების მაჩვენებლები; 2. წევრი ორგანიზაციების თანამშრომლების რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი სხვადასხვა საკითხებში; 3. წევრი ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებსაც უშუალო კონსულტაციები გაეწიათ ორგანიზაციული განვითარების საკითხებში 4. წევრი ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც ჩართულია ქსელის პროექტების განხორციელებაში 5. ქსელის სერვისებით წევრი ორგანიზაციების კმაყოფილების მაჩვენებელი
განხორციელების გზები	• ორგანიზაციების მოლოდინებისა და საჭიროებათა გამოვლენა • ორგანიზაციული განვითარების სერვისების სისტემის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა; • ტრენინგები და კონსულტაციები ორგანიზაციული განვითარების, ზიანის შემცირების და სხვა საჭირო საკითხებზე; • ინფორმაციის გავრცელების ონლაინ სისტემის აწყობა (ინტენეტ სერვერი; საინფორმაციო ბიულეტენი);
დამატებითი ინფორმაცია	

ქვე- მიმართულება: 3.2 ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის მობილიზება და გაძლიერება;

ხედვა	ნარკოტიკების მომხმარებლები არიან მობილიზებული მთელი ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის მყარდება მუდმივი კომუნიკაცია, ხდება მათი პროფესიული უნარების ამაღლება და ისინი არიან საკუთარი უფლებების ადვოკატირების ძირითადი აქტორი
სამიზნე ჯგუფები	ნარკოტიკების მომხმარებლები და ოჯახის წევრები მათი სათემო ორგანიზაციები GeNPUD - ნარკო მომხმარებელთა ეროვნული ქსელი კომერციული სექს მუშაკები, მსმ -ები, რომლებიც ნარკოტიკს მოიხმარენ
ძირითადი დაინტერესებული პირები	ნარკოტიკების მომხმარებელთა თემი მათი სათემო ორგანიზაციები პოლიტიკის განმსაზღვრელები და განმახორციელებლები *დონორები:* ევროკავშირი ღია საზოგადოების ფონდები
მიზანი (ები)	ნარკო-მომხმარებელთა სათემო ორგანიზაციების/გაერთიანებების რაოდენობის ზრდა, რომლებიც ასევე ერთვებიან პოლიტიკის ადვოკატირებაში
ამოცანები	1. ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი - GeNPUD -ის ორგანიზაციული გაძლიერება 2.რეგიონებში თემის აქტივისტების იდენტიფიცირება, გაძლიერება და მათი მხარდაჭერა საინიციატივო ჯგუფების შექმნაში; 3. სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება
ინდიკატორები	• საინიციატივო ჯგუფების რაოდენობა და მათ ბაზაზე შექმნილი სათემო ორგანიზაციების რაოდენობა; • საინიციატივო ჯგუფებში და სათემო ორგანიზაციებში ჩართული პირების რაოდენობა • GeNPUD წევრ ინდივიდთა და ორგანიზაციათა რაოდენობა • GeNPUD -ს ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით განხორცილებული ღონისძიებები

	• GeNPUD ის მიერ განხორციელებული საადვოკაციო კამპანიები
განხორციელების გზები	• საკონტაქტო პირების რეგიონებში შერჩევა და სათემო აქტივობების ინიცირება; • სათემო ორგანიზაციების გაძლიერების ღონისძიებები; მათი ჩართვა ადვოკატირების კამპანიებში; • სოციალური მედიის გამოყენება ქსელური მუშაობის გაძლიერებისათვის; • GeNPUD-ის, მისი მმართველობის ორგანოებისა და პროცედურების შექმნა; GeNPUD-ის საკომუნიკაციო არხების შექმნა;
დამატებითი ინფორმაცია	

მიმართულება 4:

ხედვა	გენდერის თანასწორობა გულისხმობს მიუკერძოებლობას და სამართლიანობას შესაძლებლობების, პასუხისმგებლობების და ქალებისა და მამაკაცებისთვის შესაძლო პრივილეგიების გავრცელებაში. გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სტრატეგიებისა და პროცესების გამოყენება. გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალებისა და კაცებისთვის არსებულ კანონებსა და უფლებებში თანაბარ მიდგომას; ოჯახების, თემების და ფართო მასშტაბით, საზოგადოების დონეზე თანაბარ ხელმისაწვდომობას რესურსებსა და სერვისებზე.
სამიზნე ჯგუფები	ზიანის შემცირების ქსელის სამდივნო/უნარების ამაღლება გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებზე-შემდგომში ციდნისა და პრაქტიკის გაზიარება ქსელის წევრებთან (უკუკავშირი)
ძირითადი დაინტერესებული პირები	• ქსელის სამდივნო; • ქსელის წევრები; • ბილატერალური დონორები;
მიზანი (ები)	გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების ინტეგრირება ქსელის საქმიანობაში
ამოცანები	○ გენდერული თანასწორობის შესაძლებლობის შეფასება შემდეგი პუნქტების შესაბამისად: • ტექნიკური შესაძლებლობები; • ორგანიზაციული კულტურა;

	• ანგარიშვალდებულება; • პოლიტიკური ნება; ○ ზიანის შემცირების ქსელის ბორდის და თანამშრომელების ტრენინგები გენდერულ მეინსტრიმინგზე; ○ გენდერზე მომუშავე ჯგუფის ჩამოყალიბება; ○ გენდერული პოლიტიკის შექმნა;
ინდიკატორები	სამუშაო ჯგუფი შემუშავებულია/ არსებობს ცალკემდგომი გენდერის ჯგუფის სამუშო გეგმა
განხორციელების გზები	აღწერილია გენდერის ჯგუფის სამუშო გეგმაში
დამატებითი ინფორმაცია	გენდერის სამუშაო ჯგუფის ფორმირება განპირობებულია ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის გენდერული ჭრილში მუშაობის შეფასებით მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად და მიზნად ისახავს ქსელის მმართველი/აღმასრულებელი სისტემების შესაბამის გაძლიერებას. ინტერვენცია ხორციელდება შემდეგი პროექტების მხარდაჭერით: “აივისა და ჰეპატიტი ც-ს პრევენციისა და მომხდარის შემსუბუქების უნარების გაძლიერება საქართველოში” და „აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური პლატფორმა ქალების, გოგონებისა და ტრანსგენდერებისთვის აივ/შიდსის დაჩქარებული პასუხისთვის.“